

დანართი

ნაწილი I. განსაზღვრებები

1. „დაზარალებული პირი“ ნიშნავს, პირს, რომელმაც პროექტის განხორციელების შედეგად, განიცადა ან განიცდის პირდაპირ ეკონომიკურ ან სოციალურ გავლენას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგით: (ა) მიწების იძულებით ჩამორთმევა რასაც შედეგად მოჰყვა (i) გადაადგილება ან თავშესაფრის დაკარგვა; (ii) აქტივების ან აქტივებთან წვდომის დაკარგვა; (iii) შემოსავლის წყაროების ან საცხოვრებელი პირობების დაკარგვა, უნდა გადავიდეს თუ არა ასეთი პირები სხვა ადგილას; ან (ბ) იურიდიულად დამოწმებულ პარკებსა და დაცულ ადგილებზე წვდომის იძულებით შეზღუდვა, რასაც შედეგად მოყვა უარყოფითი გავლენა ასეთი პირების საცხოვრებელ პირობებზე და „დაზარალებული პირი“ ნიშნავს კოლექტიურად, ყველა ასეთ დაზარალებულ პირს.
2. „ანტიკორუფციული სახელმძღვანელო“ ნიშნავს „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში თაღლითობისა და კორუფციის აღმოფხვრის სახელმძღვანელო“, დათარიღებული 2006 წლის 15 ოქტომბრით და შესწორებული 2011 წლის იანვარში.
3. „კატეგორია“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის IV ნაწილის ცხრილში დადგენილ კატეგორიას.
4. „საკონსულტაციო მომსახურების სახელმძღვანელო“ ნიშნავს “მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, IBRD-ის სესხებისთვის და IDA-ს კრედიტების და გრანტებისთვის, დათარიღებულს 2011 წლის იანვრით (შესწორებული ივლისი, 2014).
5. “გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო” ან „ESMF“ წარმოადგენს მსესხებლის მიერ 2015 წლის 12 თებერვალს თავის ვებსაიტზე განთავსებულ გარემოსდაცვით და სოციალური მართვის ჩარჩოს და ბანკის საინფორმაციო ველში განთავსებას 2015 წლის 18 თებერვალს, რომელიც ადგენს პოლიტიკასა და პროცედურებს შემდეგი მოქმედებებისათვის: გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული რესურსების შემოწმება; გარემოსდაცვითი და სოციალური განხილვების წარმოება; და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების მომზადება (რომელიც მოიცავს შემამსუბუქებელ საშუალებებს რომელიც უნდა იყოს ჩართული გარემოსდაცვითი მართვის გეგმებში).
6. “გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვა” ან „ESR“ წარმოადგენს შემოთავაზებული საინვესტიციო ქვეპროექტის მიმოხილვას, რომელიც შეფასებულია როგორც მაღალი გარემოსდაცვითი რისკის კატეგორია B ESCR-ის მიერ შემუშავებული ESMF-ის შესაბამისად, შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტის ფარგლებში არსებული ადგილების ბიოლოგიური გარემოს შესასწავლად, ამ ქვეპროექტის განხორციელების ნებისმიერი პოტენციური გარემოს, სოციალური და კულტურული რესურსების გავლენის იდენტიფიცირება და შეფასება, ალტერნატივების, შემამსუბუქებელი ღიზანის, მართვისა და კონტროლის ზომების შემუშავება.
7. “გარემოსდაცვითი მართვის გეგმა” ან “EMP” ნიშნავს საინვესტიციო ქვეპროექტისათვის განვითარებულ ნებისმიერ გარემოსდაცვით მართვის გეგმას ESMF-ს შესაბამისად და ბანკისთვის მისაღები ფორმით.

8. „გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული რესურსების შემოწმება“ ან „ESCRS“ ნიშნავს თითოეული შემოთავაზებული საინვესტიციო ქვეპროექტის სავალდებულო შემოწმებას პროექტის 1 (ა) და 1(ბ) ნაწილების შესაბამისად, ESMF-ის შესაბამისად შემუშავებული, მათთვის კატეგორიების მინიჭების მიზნით გარემოსდაცვითი მოსალოდნელი რისკებისა და გავლენების საფუძველზე, შემოთავაზებათა გადარჩევით გარემოზე ზიანის მიყენების ხარისხის საფუძველზე, გარემოს მართვის გეგმის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი მოცულობისა და ტიპის გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული რესურსის შემოწმების განსაზღვრა, რომელიც უნდა დაერთოს თან შემოთავაზებულ საინვესტიციო ქვეპროექტს შემდეგი პროცედურებისათვის მისაღები ფორმით.
9. „ზოგადი პირობები“ ნიშნავს 2012 წლის 12 მარტით დათარიღებულ „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების ზოგად პირობებს“, ამ დანართის II ნაწილში განხორციელებული მოდიფიკაციებით.
10. „GNTA“ წარმოადგენს მსესხებლის საქართველოს ეროვნულ ტურისტულ ადმინისტრაციას.
11. „საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსების ხელშეკრულება“ ნიშნავს ხელშეკრულებას პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასა და მონაწილე ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულებს შორის საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსების დებულებების შესაბამისად საინვესტიციო ქვეპროექტის განხორციელებისათვის და „საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსების ხელშეკრულებები“ წარმოადგენს ყველა ამ ტიპის შეთანხმებებს.
12. „საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსება“ ნიშნავს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ გაცემულ გრანტს, სესხის ფარგლებში გამოყოფილი რესურსებიდან, საპროექტო ხელშეკრულების პირველი განრიგის 1 დ ნაწილის დებულებების შესაბამისად.
13. „საინვესტიციო ქვეპროექტი“ წარმოადგენს პროექტის 1(ა) და 1(ბ) ნაწილების ფარგლებში განსაზღვრულ საინვესტიციო ქვეპროექტს მონაწილე ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულების მიერ, რომლებიც იყენებენ საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილ რესურსებს საინვესტიციო ქვეპროექტის დაფინანსების შეთანხმების შესაბამისად და „საინვესტიციო ქვეპროექტები“ გულისხმობს ყველა ასეთ ქვეპროექტს.
14. ფინანსთა სამინისტრო ნიშნავს, მსესხებლის ფინანსთა სამინისტროს ან მის სამართალმემკვიდრეს;
15. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ნიშნავს მსესხებლის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ან მის სამართალმემკვიდრეს.
16. „NACHP“ ნიშნავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.
17. „საოპერაციო ხარჯები“ ნიშნავს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის საფუძვლიან და საჭირო ხარჯს, რომელიც გასწია მსესხებელმა პროექტის განხორციელებასთან, მართვასთან და მონიტორინგთან მიმართებაში, საინფორმაციო კამპანიები, დამხმარე პერსონალის ხელფასების ხარჯის ჩათვლით (მსესხებლის მოხელეების ხელფასების გარდა), კომუნიკაცია, დამატება, ბეჭდვა და გამოქვეყნება, თარგმნა, სატრანსპორტო ოპერაციები და შენახვა, საბანკო მომსახურების საკომისიოები, ადგილობრივი მივლინების ხარჯი და ადგილის დათვალიერების ხარჯი, ოფისის რენტა, მოწყობილობები და მომარაგება მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული წლიური ბიუჯეტის საფუძველზე.

18. „საოპერაციო სახელმძღვანელო“ ნიშნავს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მომზადებულ პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოს, აღნიშნული შეთანხმების 2 განრიგის 1 ა ნაწილის 2(ა) პარაგრაფის შესაბამისად, რომელიც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას აღნიშნული შეთანხმების 5.01(ბ) ნაწილის შესაბამისად და რომლის სახელმძღვანელო მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს, რომელიც დროდადრო შეიძლება შესწორდეს ბანკთან შეთანხმებით.

19. „მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები“ ნიშნავს (ა) ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებს, რომლებიც შეიქმნა და მოქმედებს მსესხებლის 2014 წლის 5 თებერვლის №1958-II-ს ორგანული კანონის საფუძველზე (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი); (ბ) მსესხებლის ეროვნული სააგენტო ან ერთეული (მაგალითად „NACHP“, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო და საქართველოს ეროვნული მუზეუმი); ან (გ) რელიგიური ორგანიზაციის ადმინისტრაცია, რომელიც შერჩეული იქნა საინვესტიციო ქვეპროექტის განხორციელებისათვის საოპერაციო სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად.

20. „შესყიდვების სახელმძღვანელო“ ნიშნავს „სახელმძღვანელოს: საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში“, დათარიღებული 2011 წლის იანვრით (შესწორებული ივლისი, 2014).

21. „შესყიდვების გეგმა“ ნიშნავს პროექტის გეგმას პროექტის განსახორციელებლად რომელიც დათარიღებულია 2015 წლის 20 თებერვლით და მოხსენიებულია შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებების 1.18 პარაგრაფსა და კონსულტანტის სახელმძღვანელო დებულებების 1.25 პარაგრაფში, რომელიც დროდადრო შეიძლება გადაისინჯოს ზემოაღნიშნული პარაგრაფების დებულებების გათვალისწინებით.

22. „პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის კანონმდებლობა“ ნიშნავს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით, მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

23. „პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია“ ან „MDF“ ნიშნავს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის №294 ბრძანებულებით, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

24. „განსახლების სამოქმედო გეგმა“ ან „RAP“ ნიშნავს საინვესტიციო ქვეპროექტის განსახორციელებლად განსახლების სამოქმედო გეგმას, მსოფლიო ბანკისათვის მისაღები „განსახლების პოლიტიკის ჩარჩო სახელმძღვანელო“-ს და „განსახლების სამოქმედო გეგმების“, ყველა ასეთი განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

25. „განსახლების პოლიტიკის ჩარჩო“ ან „RPF“ ნიშნავს მსესხებლის მიერ თავის ვებსაიტზე 2015 წლის 12 თებერვალს და ბანკის საინფორმაციო ველში 2015 წლის 18 თებერვალს განთავსებულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს, რომელიც ადგენს შემდეგს: (ა) პროექტის ფარგლებში არსებული ადგილების აღწერა; (ბ) მიწის შეძენის სამართლებრივი საფუძველი და შემოწმების გეგმა, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებთან და სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული

განსახლება და მიწის გამოყენება; (გ) დაზარალებული პირების განსახლების პრინციპები გავლენის სხვადასხვა კატეგორიის საფუძველზე; (დ) კონსულტაციის პროცედურები, შეფასება, კომპენსაცია, საცხოვრებელი პირობები აღდგენა და დაზარალებული პირებისათვის გასაწევი სხვა დახმარებები, გასაჩივრების პროცესის ჩათვლით; და (ე) ადგილების სპეციფიკური RAP-ის განვითარებისა და განხორციელებისათვის საჭირო პასუხისმგებლობები, პროცედურები და მოთხოვნები.

26. “პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება” ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 განრიგის პირველი პარაგრაფის I.8 ნაწილში და რომლის თანახმადაც მსესხებელი უზრუნველყოფს სესხის სახსრების ხელმისაწვდომობას პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის.

27. “ტრეინინგი” ნიშნავს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ პროექტის მეორე ნაწილის ფარგლებში სასწავლო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაღებულ ხარჯებს, რომელიც მოიცავს სამგზავრო და სამივლინები ხარჯებს სწავლების მონაწილეებისთვის, ასევე სასწავლო ტურების, სემინარების, კონფერენციების, და ან ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო ფართის, მასალებისა და საჭირო ხელსაწყოების იჯარით აღების ხარჯებს მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული ნახევარწლიური ბიუჯეტის საფუძველზე.

ნაწილი II. ზოგადი პირობების ცვლილებები

ზოგადი პირობები შეცვლილია შემდეგნაირად:

1. სარჩევში, წყაროების მითითების ნაწილში, ნაწილის სახელები და ნომრები შეცვლილია ქვემოთ მოყვანილ პარაგრაფში ჩამოყალიბებული ცვლილებების შესაბამისად.

2. 3.01 (ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო) ნაწილი შეცვლილია შემდეგნაირად:

„ნაწილი 3.01 ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო; ვალდებულების გადასახდელი

(ა) მსესხებელმა ბანკს უნდა გადაუხადოს სესხის თანხის ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო სესხი ხელშეკრულებაში განსაზღვრული კურსის მიხედვით („ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო“)

(ბ) მსესხებელმა უნდა გადაუხადოს ბანკს ვალდებულების გადასახდელი აუთვისებელ სესხის ნაშთზე იმ კურსით რაც განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულებაში („ვალდებულების გადასახდელი“). ვალდებულების გადასახდელის გადახდა ხდება სასესხო ხელშეკრულების თარიღიდან 60 დღის შემდეგ, როცა თანხები ათვისებულია მსესხებლის მიერ სასესხო ანგარიშიდან ან გაუქმებულია. ვალდებულების გადასახდელის გადახდა ხდება ნახევარწლიურად ყოველ გადახდის თარიღისათვის“.

3. დანართში განმარტებები, ყველა შესაბამისი ნაწილის ნომრები და პარაგრაფები შეცვლილია, საჭიროებისამებრ, რომელიც ასახავს ზემოთხსენებულ მეორე პარაგრაფში არსებული ცვლილებებს.

4. დანართი შეცვლილია მასში ახალი პარაგრაფი 19-ის ჩართვით „ვალდებულების გადასახდელის“ შემდეგი განმარტებით და მომდევნო პარაგრაფების გადანომრვით შესაბამისად:

„19. „ვალდებულების გადასახდელი“ ნიშნავს სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ვალდებულების გადასახდელს ხელშეკრულების 3.01(ბ) მიზნებისათვის“.

5. დანართის გადანომრილ 49 პარაგრაფში (ძირითდი 48 პარაგრაფი), „ერთჯერადი ადმინისტრირების გადასახდელის“ ტერმინი შეცვლილია და 3.01 ნაწილი ჩანაცვლებულია 3.01(ა) ნაწილით.

6. დანართის გადანომრილ პარაგრაფში 68 (თავდაპირველი პარაგრაფი 47) „სესხის გადახდის“ ტერმინის განმარტება შეცვლილია და იკითხება შემდეგნაირად:

„68. სესხის გადახდა ნიშნავს სესხის მხარეების მიერ ბანკისთვის გადასახდელ თანხას სამართლებრივი შეთანხმებისა ან ამ ზოგადი პირობების შესაბამისად, რომელიც მოიცავს ათვისებული სესხის ბალანსის ნებისმიერ თანხას, პროცენტს, ერთჯერადი ადმინისტრირების გადასახადს, ვალდებულების გადასახადს, პროცენტს ძირითადი საპროცენტო განაკვეთით, ნებისმიერი წინასწარი გადახდები, ნებისმიერი საკომისიო კონვერტაციისა ან კონვერტაციის ვადამდე ადრე შეწყვეტისათვის, ცვალებადი მარჟის ფიქსირებული გადასახადი, ნებისმიერი წინასწარი გადასახადი საპროცენტო განაკვეთის ზედა ან ქვედა ზღვარის წარმომოხიას.“

7. დანართის გადანომრილ პარაგრაფში 73 (თავდაპირველი პარაგრაფი 72), „გადახდის თარიღის“ განმარტება შეცვლილია, წამოიღო სიტყვა „არის“ და მის ნაცვლად ჩასმულია სიტყვები „და ვალდებულების გადასახადი არის“ სიტყვა „პროცენტის“ შემდეგ“.



საგარეო ურთიერთობების სამინისტროს საერთაშორისო ხელშეკრულებების
საგარეო ურთიერთობების სამინისტროს საერთაშორისო ხელშეკრულებების

თარგმანების განყოფილება

სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0208/15

თარიღი/DATE 11.08.2015წ.

დაამტკიცა/CERTIFIED BY _____

Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia